საქართველო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724142001
თარიღი:21/05/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა N-03

დ.ლენტეხი 15 მაისი 2024წ.

მიმდინარე წლის 15 მაისს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. ბიუროს სხდომას ესწრებოდა ბიუროს 12 (თორმეტი) წევრი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში გასათვალისწინებული საკითხები გავლილია საკრებულოს შესაბამის კომისიების სხდომებზე და კომისიების დასკვნების მიხედვით საკითხები მზად არის საკრებულოს მორიგ სხდომაზე გასატანად.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების სამი თვის ანგარიშის მოსმენა.**

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი /

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 3 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევანი ლიპარტელიანი/

3. **სხვადასხვა.**

საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ოხიანმა: მომზადებულია საკითხი თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - მარტოხელა დედის ლია გაზდელიანის დასახმარებლად ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 1000(ერთი ათასი) ლარის გამოყოფის თაობაზე და გთხოვთ საკითხი გავითვალისწინოთ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით სხვა წინადადება არ ყოფილა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების სამი თვის ანგარიშის მოსმენა.**

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი /

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 3 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევანი ლიპარტელიანი/

3. თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - მარტოხელა დედის ლია გაზდელიანის დასახმარებლად ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 1000(ერთი ათასი) ლარის გამოყოფის თაობაზე.

/მომხს: საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი/

4. სხვადასხვა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი ნარმოდგენილი სახით.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა დამთავრდა 13 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი